საქართველოს მთავრობის განკარგულება

N 684 2016 წლის 22 აპრილი ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ, „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პროგრამით“ გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში, ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიის ძეგლის ენგურჰესის თაღოვანი კაშხალის ინდუსტრიული მემკვიდრეობის საიტის განვითარების სტრატეგიის შემუშავებისათვის საჭირო ღონისძიების სახელმწიფო შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის №1

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი